

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია

სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯის „ოპიზარი“

დრექტორის №80/17.08.2017 ბრძანებით



სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯი "ოპიზარი"

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა

სატყეო საქმე IV საფეხურიო

საკონტაქტო ინფორმაცია:

მისამართი: ახალციხე, რუსთაველის ქ. 106

ტელეფონი: T- (365)2 2 11 03 ; T-599172005 ; (365) 2 2 17 41;

ელ-ფოსტა: Belaavalishvili@gmail.com

ვებ გვერდი: [www.profkoleji-opizari.ge](http://www.profkoleji-opizari.ge)

პროგრამის ხელმძღვანელი: ა. ნოზაძე

1. სახელწოდება: სატყეო საქმე, Forestry

2. ჩარჩო დოკუმენტის სარეგისტრაციო ნომერი: 08201-3

3. პროფესიული სპეციალიზაცია/სპეციალიზაციები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია/კვალიფიკაციები - მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია სატყეო საქმეში, Fourth level of professional qualification in forestry

I. პროგრამის შემუშავების სამართლებრივი საფუძვლები

- საქართველოს კანონი პროფესიული განათლების შესახებ
- ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩო
- სატყეო საქმე პროფესიული სტანდარტი
- სატყეო საქმე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტი

4. მიზანი

პროგრამის მიზანია, უზრუნველყოს ისეთი პროფესიული პროგრამის დანერგვა, რომელიც მოამზადებს კვალიფიციური სატყეო საქმის სპეციალისტს, რომელიც აღჭურვილი იქნება შესაბამისი უნარ-ჩვევებით და უსაფრთხოდ განახორციელებს ტყეში სატყეო სამეურნეო ღონისძიებებს, მათ შორის: ხე-ტყის დამზადებას, ტყის აღდგენის ღონისძიებებს (თესლის შეგროვება, თესვა, დარგვა, სანერგის მოწყობა და სხვა). განახორციელებს ხე-ტყის დახარისხებას, უზრუნველყოფს ხანძარსაწინააღმდეგო წესების დაცვასა და მავნებელ-დაავადებების წინააღმდეგ პრევენციული ღონისძიებების განხორციელებას.

5. კურსდამთავრებულთა კარიერული შესაძლებლობები

პროგრამის დასრულების შემდეგ პირს შეუძლია დასაქმდეს მენახშირედ, ტყის მჭრელად, ხე-ტყის დამამზადებლად, მეტყევედ, ხის მჭრელად, ხე-ტყის კრეისერად, ტყის მუშად სახელმწიფო სტრუქტურაში, ასევე, წვრილ, საშუალო და მსხვილ ბიზნეს ორგანიზაციაში (ლიცენზიის მფლობელები).

6. დაშვების წინაპირობა/წინაპირობები - სრული ზოგადი განათლება

7. მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია: მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია სატყეო საქმეში,

8. სწავლის შედეგები:

პროგრამის დასრულების შემდეგ პირს შეუძლია:

- სატყეო სამუშაოს ჩატარებისთვის ლოკაციის მომზადება;
- მერქნული რესურსით სარგებლობა;
- ხე-ტყის დამზადება და დახარისხება;

- დამზადებულიხე-ტყის ტრანსპორტირების უზრუნველყოფა;
- ტყის მერქნიან სახეობათა თესლების წარმოება;
- ტყის აღდგენის ღონისძიებების გატარება;
- ტყის დაცვა ხანძრებისა და მავნებლებისაგან;
- ტყის არამერქნული რესურსის დამზადება.
- **პროგრამის მოცულობა და სავარაუდო ხანგრძლივობა:**
- მოცულობა: 48 კრედიტი 7 სასწავლო თვე;
- არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის 78 კრედიტი 14 სასწავლო თვე;

• **სტრუქტურა და მოდულები**

„სატყეო საქმის“ პროგრამა განსაზღვრავს მეოთხე საფეხურის პროფესიულ კვალიფიკაციას. ჩარჩო დოკუმენტი მოიცავს შვიდ ზოგად მოდულს (ჯამში 45 კრედიტი), ცხრა სპეციალიზაციის პროფესიულ/დარგობრივ მოდულს (ჯამში 33 კრედიტი).

ზოგადი მოდულები			
№	მოდულის დასახელება	მოდულზე დაშვების წინაპირობა	კრედიტი
1	ინფორმაციული წიგნიერება 1	საბაზო განათლება	3
2	ინტერპერსონალური კომუნიკაცია	საბაზო განათლება	3
3	რაოდენობრივი წიგნიერება	საბაზო განათლება	2
4	მეწარმეობა 2	საბაზო განათლება	2
5	უცხოური ენა	საბაზო განათლება	5
6	ქართული ენა A2	საბაზო განათლება	15
7	ქართული ენა B1	ქართული ენის ფლობა A2 დონეზე	15
სპეციალიზაციის პროფესიული/დარგობრივი მოდულები			
№	მოდულის დასახელება	მოდულზე დაშვების წინაპირობა	კრედიტი

1	გაცნობითი პრაქტიკა -სატყეო საქმე	სრული ზოგადი განათლება	1
2	ტყის ძირითადი მერქნიანი სახეობები	სრული ზოგადი განათლება	3
3	პირველადი გადაუდებელი დახმარება - სატყეო საქმე	საბაზო განათლება	2
4	ხე-ტყის დამზადება	მოდულები: • გაცნობითი პრაქტიკა - სატყეო საქმე • ტყის ძირითადი მერქნიანი სახეობები • პირველადი გადაუდებელი დახმარება -სატყეო საქმე	6
5	ტყის მერქნიან სახეობათა თესლების წარმოება	მოდულები: • ტყის ძირითადი მერქნიანი სახეობები	5
6	ტყის აღდგენა-გაშენება	მოდულები: • გაცნობითი პრაქტიკა - სატყეო საქმე • ტყის ძირითადი მერქნიანი სახეობები	7
7	ტყის დაცვა ხანძრებისა და მავენებლებისაგან	მოდულები: • გაცნობითი პრაქტიკა - სატყეო საქმე	2
8	ტყის არამერქნული რესურსით სარგებლობა	სრული ზოგადი განათლება	2
9	საწარმოო პრაქტიკა - სატყეო საქმე	ჩარჩო დოკუმენტით განსაზღვრული ყველა დანარჩენი მოდული	5

• **ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავება**

საგანმანათლებლო დაწესებულებამ ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შეიმუშავა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა.

• **სწავლის შედეგის მიღწევის დადასტურება და კრედიტის მინიჭება:**

კრედიტის მინიჭება ხორციელდება სწავლის შედეგის მიღწევის დადასტურების საფუძველზე.

სწავლის შედეგის მიღწევის დადასტურება შესაძლებელია:

ა) წინმსწრები ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარებით (ჩათვლა);

ბ) არაფორმალური განათლების გზით მიღწეული სწავლის შედეგების დადასტურება განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მიერ დადგენილი წესით;

გ) სწავლის შედეგების დადასტურება შეფასების გზით.

არსებობს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება.

განმავითარებელი შეფასება შესაძლოა განხორციელდეს როგორც ქულების, ასევე ჩათვლის პრინციპების გამოყენებით.

განმსაზღვრელი შეფასება ითვალისწინებს მხოლოდ ჩათვლის პრინციპებზე დაფუძნებული (კომპეტენციების დადასტურებაზე დაფუძნებული) სისტემის გამოყენებას და უშვებს შემდეგი ორი ტიპის შეფასებას:

ა) სწავლის შედეგი დადასტურდა;

ბ) სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა.

განმსაზღვრელი შეფასებისას უარყოფითი შედეგის მიღების შემთხვევაში, პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს პროგრამის დასრულებამდე მოითხოვოს სწავლის შედეგების მიღწევის დამატებითი შეფასება. შეფასების მეთოდი/მეთოდები რეკომენდაციის სახით მოცემულია მოდულებში.

### 13. პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭება

პროფესიული კვალიფიკაციის მოსაპოვებლად პროფესიულმა სტუდენტმა უნდა დააგროვოს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრული მოდულებით გათვალისწინებული კრედიტები.

14.მეოთხე საფეხურის პროგრამაში: „მოდულების, ქართული ენა A2 და ქართული ენა B1 გავლა სავალდებულოა მხოლოდ იმ პროფესიული სტუდენტებისთვის, რომლებმაც პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება მოიპოვეს „პროფესიული ტესტირების ჩატარების დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 27 სექტემბრის ბრძანება №152/ნ ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-4 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ რუსულ,აზერბაიჯანულ ან სომხურ ენაზე ტესტირების გზით. აღნიშნული პირებისათვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება იწყება ქართული ენის მოდულებით.“

### 15. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) პროფესიული სტუდენტების სწავლებისათვის

1. სსსმ პირთა მიღების პროცედურა განისაზღვრება განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 27 სექტემბრის #152/ნ ბრძანებით დამტკიცებული “პროფესიული ტესტირების ჩატარების დებულების“ შესაბამისად.სტუდენტის სატატუს მოპოვებული სსსმ პირები საგანმანათლებლო მოდულურ პროგრამებზე დაიშვებიან მოდულის წინაწირობის/წინაპირობების დამლევის გარეშე განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის #199 20/03/2017წ ბრძანებით განხორციელებული ცვლილების შესაბამისად.

**.პროგრამის განხორციელებაში ჩართული საწარმოები:**

1..პროგრამის განხორციელებისათვის დადებულია მემორანდუმი და ხელშეკრულება:

1.სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტო თბილისი თ. გულუას #6 (16.08.2017წ.)

2.სსიპ. ეროვნული სატყეო სააგენტო სამცხე-ჯავახეთის სატყეო სამსახური

**ქ. ახალციხე ასპინძის ქ. #32 (17.08 2017წ.)**

- დანართი 1. სასწავლო გეგმა
- დანართი 2. პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი
- დანართი 3. ინფორმაციული წიგნიერება 1
- დანართი 4. ინტერპერსონალური კომუნიკაცია
- დანართი 5. რაოდენობრივი წიგნიერება
- დანართი 6 . მეწარმეობა 2
- დანართი 7. უცხოური ენა
- დანართი 8. ქართული ენა A2
- დანართი 9. ქართული ენა B1
- დანართი 10. გაცნობითი პრაქტიკა -სატყეო საქმე
- დანართი 11. ტყის ძირითადი მერქნიანი სახეობები
- დანართი 12 . პირველადი გადაუდებელი დახმარება - სატყეო საქმე
- დანართი 13 . ხე-ტყის დამზადება
- დანართი 14. ტყის მერქნიან სახეობათა თესლების წარმოება
- დანართი 15 . ტყის აღდგენა-გაშენება
- დანართი 16. ტყის დაცვა ხანძრებისა და მავნებლებისაგან
- დანართი 17. ტყის არამერქნული რესურსით სარგებლობა
- დანართი 18. საწარმოო პრაქტიკა - სატყეო საქმე